ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7446031

ნომერი: AR11085499

თარიღი : 04.04.2025

გაცემის თარიღი : 14.04.2025

გაცნობის თარიღი : 14.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მე-4მ/რ, რიგი#2, #176 სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა სანაია პ/ნ 01018003506
- თბილისი ი.ქუთათელაძის 6 ბინა 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 04 აპრილს №AR11085499 განცხადებით მომართა გიგა სანაიამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის

№7001283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებით №01.19.36.009.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2024 წლის 13 ივნისის №7080230 ბრძანებით ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 13 ივნისიდან 2027 წლის 13 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2024 წლის 26 დეკემბრის №7328091 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2024 წლის 13 ივნისის №7080230 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი წინამდებარე განცხადებით ითხოვს სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად 662.9 კვ.მ-ის ნაცვლად 687.9 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 5839.8 კვ.მ-ის ნაცვლად 5864.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას და წარმოდგენილი -3.00 და +0.00 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება არქიტექტურულ გეგმებზე ფართობებისა და ექსპლიკაციების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის 687.9 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 5864.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 და +0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის №7001283 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.